

რამდენად
კოლარიზებულია
ქართული
სამთავროებია?

ბლოგი

რამდენად პოლარიზებულია ქართული საზოგადოება?

2025

ავტორი: ლია ჩხეტიანი, მონაცემთა შეგროვების მენეჯერი

CRRC-საქართველო

1 ლიბიკო ქავთარაძის ქ. თბილისი, 0179, საქართველო

<https://www.crrc.ge>

crrc.georgia@crrccenters.org

ანგარიში მომზადდა პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობის გზით“ ფარგლებში, რომელიც CRRC-საქართველოს მიერ შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით განხორციელდა.

მასში გადმოცემული ინფორმაცია ეყრდნობა CRRC-საქართველოს კვლევის შედეგებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) პოზიციას.

რამდენად პოლარიზებულია ქართული საზოგადოება?

შესავალი

პოლიტიკური პოლარიზაცია ხშირად მიიჩნევა საქართველოს დემოკრატიზაციის ერთ-ერთ მთავარ [გამოწვევად](#). პოლიტიკური ელიტა პოლარიზებულ რიტორიკას [ხშირად](#) და სისტემურად იყენებს, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკური დისკურსის ჩამოყალიბებაზე. ამავდროულად, ქართული საზოგადოების პოლარიზაციის მასშტაბის შესახებ ემპირიული მტკიცებულებები ერთმნიშვნელოვანი არ არის. არსებული კვლევები მიუთითებს, რომ მოქალაქეთა უმრავლესობა მკვეთრ [იდეოლოგიურ](#) ხედვებს არ ატარებს, თუმცა დაახლოებით 30% შეიძლება დახასიათდეს, როგორც [აფექტურად](#) პოლარიზებული.

გასულ წლებში საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაცია ძირითადად გამოიხატებოდა „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაპირისპირებაში. თუმცა, 2024 წლიდან გაძლიერებული ავტოკრატიზაციის პირობებში, პოლარიზებული რიტორიკა “ქართული ოცნების” ხელისუფლებისთვის რეპრესიის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცა, რომელსაც ის პოლიტიკური ოპონენტების დელეგიტიმაციისა და მარგინალიზაციისთვის იყენებს. მმართველი პარტიის მიერ ბოლო პერიოდში გატარებული პოლიტიკა გამოირჩევა ოპოზიციის მიმართ გამორჩეულად მტრული დამოკიდებულებითა და საზოგადოების დამყოფი [ნარატივების](#) მიზანმიმართული გავრცელებით, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკასა და ეროვნული იდენტობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე.

ამ კონტექსტში, დროული და აუცილებელია იმის შესწავლა, რა გეგავლენა მოახდინა ბოლო პერიოდის პოლიტიკურმა ტენდენციებმა ქართულ საზოგადოებაში პოლარიზაციის მასშტაბზე. CRRC-საქართველოს მიერ 2025 წლის თებერვალში ჩატარებული გამოკითხვა გვთავაზობს განახლებულ მონაცემებს იმის შესახებ, თუ რეალურად რამდენად პოლარიზებულია ქართული საზოგადოება და ვინ არის უფრო მეტად მიდრეკილი პოლარიზაციისკენ.

მეთოდოლოგია

ამ კვლევაში პოლიტიკური პოლარიზაცია შეფასდა კითხვების სამი განსხვავებული წყვილის გამოყენებით, რომელთაგან თითოეული ემსახურება [აფექტური](#) პოლარიზაციის სხვადასხვა კომპონენტის დაფიქსირებას. აფექტური პოლარიზაცია გულისხმობს „ქართული ოცნების“ და ოპოზიციის მხარდამჭერებში ერთმანეთის მიმართ უარყოფითი ემოციურ დამოკიდებულებისა და უნდობლობის ქონას.

კითხვების პირველი წყვილი („რამდენად ხშირად აკეთებს ან არ აკეთებს “ქართული ოცნება” /ოპოზიცია იმას, რაც ქვეყნისთვის საჭიროა?“) აფასებდა პოლარიზაციის პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის შეფასების აღქმებში, ანუ იმას, თუ რამდენად განსხვავებულად აღიქვამენ ადამიანები მმართველი პარტიისა და ოპოზიციის ქმედებებს.

კითხვების მეორე წყვილი („როგორ ხართ განწყობილი “ქართული ოცნების”/ოპოზიციის მხარდამჭერების მიმართ?“) ზომავს ჯგუფთაშორის პოლარიზაციას, ანუ გამოკვეთს ნეგატიური ემოციებისა და უნდობლობის არსებობას ოპონენტი პოლიტიკური ძალების მხარდამჭერებს შორის.

მესამე წყვილი ეხებოდა („რამდენად კომფორტულად იგრძნობთ თავს მეგობართან, თუკი იცით, რომ იგი “ქართული ოცნების”/ოპოზიციის მხარდამჭერია?“) ადამიანთაშორის ურთიერთობებს. ის ზომავს სოციალურ დისტანციას და მიუთითებს იმაზე, რამდენად განიცდიან მოქალაქეები პირად ურთიერთობებში დისკომფორტს პოლიტიკური განსხვავებების გამო.

კითხვების თითოეული წყვილისთვის გამოითვალა მმართველ პარტიასა და ოპოზიციასთან დაკავშირებულ პასუხებს შორის არსებული აბსოლუტური განსხვავება. აღნიშნულმა მეთოდმა შესაძლებელი გახადა დამოკიდებულებებში რეალური ასიმეტრიის გამოშვება. რესპონდენტები, რომელთა ქულა იყო „0“, კლასიფიცირდნენ როგორც არაპოლარიზებულები, ხოლო ისინი, ვისაც ქულა „1“ ან მეტი ჰქონდათ, კლასიფიცირდნენ, როგორც პოლარიზებულები.


პოლარიზაციის მასშტაბები

კითხვათა წყვილზე – „რამდენად ხშირად აკეთებს „ქართული ოცნება“/ოპოზიცია იმას, რაც ქვეყანას სჭირდება?“ – პასუხებში გამოკითხულთა 65%-მა გამოავლინა პოლარიზაციის გარკვეული დონე.

ილუსტრაცია 1

პოლარიზაცია საქმიანობის აღქმაში

ინდექსი ეფუძნება კითხვების წყვილზე გაცემულ პასუხებს შორის აბსოლუტურ სხვაობას: „რამდენად ხშირად აკეთებს ან არ აკეთებს “ქართული ოცნება“/ოპოზიცია იმას, რაც ქვეყნისთვის სჭირა?“




კითხვათა წყვილზე – „როგორ ხართ განწყობილი “ქართული ოცნების”/ოპოზიციის მხარდამჭერების მიმართ?“ – რესპონდენტების 46%-მა გამოავლინა აფექტური პოლარიზაციის გარკვეული დონე.

ილუსტრაცია 2

ჯგუფთაშორისი პოლარიზაცია მხარდამჭერებს შორის

ინდექსი ეფუძნება კითხვების წყვილზე გაცემულ პასუხებს შორის აბსოლუტურ სხვაობას: "როგორ ხართ განწყობილი" / "ქართული ოცნების" / "ოპოზიციის მხარდამჭერების მიმართ?"




კითხვასთან დაკავშირებით – „რამდენად კომფორტულად იგრძნობდით თავს მეგობართან, თუკი იცით, რომ იგი „ქართული ოცნების“/ოპოზიციის მხარდამჭერი იქნებოდა?“ – რესპონდენტების მხოლოდ 21%-მა გამოხატა სოციალური პოლარიზაციის გარკვეულ დონე.

ილუსტრაცია 3

სოციალური დისტანცია მხარდამჭერებს შორის

ინდექსი ეფუძნება კითხვების წყვილზე გაცემულ პასუხებს შორის აბსოლუტურ სხვაობას: რამდენად კომფორტულად იგრძნობთ თავს მეგობართან, თუკი იცით, რომ იგი „ქართული ოცნების“ / "ოპოზიციის მხარდამჭერია?"



ეს შედეგები აჩვენებს, რომ ქართველ ამომრჩევლებში პოლიტიკური პოლარიზაციის დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება იმის მიხედვით, თუ პოლარიზაციის რომელ ასპექტთან გვაქვს საქმე. ყველაზე მაღალი დონე ფიქსირდება იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასება ეხება პოლიტიკური აქტორების საქმიანობის აღქმას. შედარებით ნაკლებად გავრცელებულია პოლარიზაცია მოწინააღმდეგე პარტიების მხარდამჭერების მიმართ დამოკიდებულებების ჭრილში, სოციალურ ურთიერთობებზე კი პოლარიზაცია ყველაზე ნაკლებად ზემოქმედებს.


ვინ არის მეტად პოლარიზებული?

იმის უკეთ გასაგებად, თუ მოსახლეობის რომელი ჯგუფები არიან უფრო მეტად მიდრეკილნი პოლიტიკური პოლარიზაციისკენ, გამოვიყენეთ ბინარული ლოგისტიკური რეგრესიის მოდელი. ანალიტიკის აღნიშნული თოდი მოიცავდა ორ თანმიმდევრულ მოდელს, რომელთა მიზანი იყო, სისტემურად შეეფასებინა სხვადასხვა ფაქტორის გავლენა პოლარიზაციის ხარისხზე.

პირველი, საწყისი მოდელი ფოკუსირებული იყო მხოლოდ დემოგრაფიულ მახასიათებლებზე. დამოუკიდებელ ცვლადებად ის მოიცავდა სქესს, ასაკობრივ ჯგუფს, დასახლების ტიპსა და განათლების დონეს. მეორე მოდელში ანალიზის ფარგლები გაფართოვდა და დამოუკიდებელ ცვლებად მას დაემატა მედიის მოხმარების ჩვევები, კერძოდ ტელეარხებთან დაკავშირებული პრეფერენციები და ასევე პარტიული კუთვნილება.

ანალიზმა აჩვენა, რომ დასახლების ტიპსა და განათლების დონეს არ აქვს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა პოლიტიკური პოლარიზაციის არცერთ ფორმაზე. ამის საპირისპიროდ, სქესი გარკვეულწილად დაკავშირებულია პოლიტიკურ პოლარიზაციასთან. კერძოდ, ქალები მცირედით უფრო მეტად არიან მიდრეკილნი პოლარიზებული შეხედულებებისკენ, ვიდრე მამაკაცები.


ილუსტრაცია 4



ასაკი ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან დემოგრაფიულ ფაქტორს: ხანდაზმული ადამიანები პოლარიზაციის ყველა განზომილებაში უფრო მაღალ მიდრეკილებას აჩვენებენ, ვიდრე ახალგაზრდები. საქმიანობის ადჟმაში პოლარიზაციის პროგნოზირებული ალბათობა იზრდება 18–34 წლის ასაკობრივ ჯგუფში არსებული 60%-იდან და 55 წლისა და უფროს ასაკში აღწევს 76%-ს. ჯგუფთაშორისი პოლარიზაცია და სოციალური დისტანციაც ასაკთან ერთად შესამჩნევად მატულობს, თუმცა სოციალური დისტანციის პროგნოზირებული ალბათობა მთლიანობაში მაინც შედარებით დაბალ დონეზე რჩება.

პოლიტიკური პოლარიზაცია ასაკის მიხედვით

პროგნოზირებული ალბათობები [გაკონტროლებულია: სქესი, დასახლების ტიპი, განათლება]




დემოგრაფიული მახასიათებლების გარდა, ანალიზი აჩვენებს, რომ ტელეარხების მოხმარების ჩვევები და პარტიული იდენტობა წარმოადგენს პოლიტიკურ პოლარიზაციასთან ყველაზე ძლიერად დაკავშირებულ ფაქტორებს ქართველ ამომრჩევლებში. დემოგრაფიული ცვლადებისა და პარტიული კუთვნილების გაკონტროლის პირობებში, შედეგები მიუთითებს აშკარა და სტაბილურ კავშირზე ტელეარხების მოხმარების ჩვევებსა და პოლარიზებული დამოკიდებულებების გამოვლენის ალბათობას შორის.

კერძოდ, პროსახელისუფლებო ტელეარხების (იმედი, რუსთავი 2 და პოსტივი) მაყურებლები მნიშვნელოვნად უფრო მეტად არიან მიდრეკილნი პოლარიზებული შეხედულებებისკენ, ვიდრე ისინი, ვინც სხვა ტელეარხებს უყურებს ან საერთოდ არ უყურებს ტელევიზიას. საქმიანობის აღქმასთან დაკავშირებული პოლარიზაციის ალბათობა ყველაზე მაღალია სწორედ პროსახელისუფლებო არხების მაყურებლებში (83%), შედარებით მათთან, ვინც საერთოდ არ უყურებს ტელეარხებს (74%) და ან უყურებს სხვა არხებს (72%). ანალოგიურად, ჯგუფთაშორისი პოლარიზაციის ალბათობა პროსახელისუფლებო არხების მაყურებელთა შემთხვევაში 70%-ია, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი 54%-ს შეადგენს იმ მოქალაქეებისთვის, ვინ საერთოდ არ უყურებს ტელეარხებს, და 64%-ს სხვა არხების მაყურებლებში. მედიის მოხმარება გავლენას ახდენს სოციალურ დისტანციაზეც: ალბათობა იმისა, რომ პროსახელისუფლებო არხების მაყურებლები დისკომფორტს განიცდიან პირად ურთიერთობებში პოლიტიკური განსხვავების გამო 37%-ია, მაშინ როდესაც არამაყურებლებში ეს მაჩვენებელი 21%-ია, ხოლო სხვა არხების მაყურებლებში — 31%.

პოლიტიკური პოლარიზაცია ტელეარხების მიხედვით

პროგნოზირებული ალბათობები [გაკონტროლებულია: ასაკი, დასახლების ტიპი, განათლება, ტელეარხები, პარტიული იდენტობა]




პარტიული იდენტობა კიდევ უფრო ძლიერი ზეგავლენის მქონე ფაქტორად გვევლინება პოლარიზაციის სამივე განზომილებაში. პოლიტიკური საქმიანობის ადჟმებთან დაკავშირებული პოლარიზაციის გამოვლენის პროგნოზირებული ალბათობა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებში 91%-ს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერებში დაფიქსირებულ 77%-იან ალბათობას და პარტიული კუთვნილების არმქონე რესპონდენტებში არსებულ 50%-იან მაჩვენებელს. მსგავსი სურათი შეინიშნება ჯგუფთაშორისი პოლარიზაციის შემთხვევაშიც: პროგნოზირებული ალბათობა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებში 80%-ს აღწევს, სხვა პარტიების მხარდამჭერებში – 70%-ს, ხოლო უპარტიო რესპონდენტებში მხოლოდ 34%-ს. სოციალური დისტანციის მხრივ, მოდელი პროგნოზირებს 39%-იან ალბათობას „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებისთვის და 41%-იანს ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერებისთვის. ამის საპირისპიროდ, პარტიული კუთვნილების არმქონე რესპონდენტებში პროგნოზირებული ალბათობა მხოლოდ 13%-ს შეადგენს.

ეს შედეგები მიუთითებს, რომ პარტიული იდენტობა, განსაკუთრებით კი მმართველ პარტიასთან ასოცირება, მყარად და თანმიმდევრულად არის დაკავშირებული პოლიტიკური პოლარიზაციის კენ მომეტებულ მიდრეკილებასთან.

პოლიტიკური პოლარიზაცია პარტიული იდენტობის მიხედვით

პროგნოზირებული ალბათობები [გაკონტროლებულია: ასაკი, დასახლების ტიპი, განათლება, ტელეარხები, პარტიული იდენტობა]



დასკვნა

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ პოლიტიკური პოლარიზაცია საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში მკვეთრად არის წარმოდგენილი, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება პარტიების საქმიანობის აქტს და მოწინააღმდეგე მხარის მხარდამჭერების მიმართ ნეგატიურ ემოციურ დამოკიდებულებას. ამავდროულად, პოლიტიკურ პოლარიზაციას შემზღვეული ზეგავლენა აქვს პერსონალურ ურთიერთობებზე. რესპონდენტთა დასახლებით ორი მესამედი ავლენს პოლარიზაციის გარკვეულ დონეს პარტიების საქმიანობის შეფასებისას, თითქმის ნახევარი გამოხატავს ჯგუფთაშორის აფექტურ პოლარიზაციას და ნეგატიურ დამოკიდებულებებს მოწინააღმდეგე პოლიტიკური ჯგუფების მხარდამჭერების მიმართ და მხოლოდ მესუთედი მიუთითებს, რომ პოლიტიკური უთანხმოება სოციალურ დისტანციასაც იწვევს. აღნიშნული განაწილება მიუთითებს, რომ საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაცია ძირითადად ღირებულებითი და ემოციური ხასიათისაა და ნაკლებად აისახება პირად ურთიერთობებზე.

დემოგრაფიული ტენდენციები ასევე აჩვენებს, რომ ქალები და ხანდაზმული ადამიანები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი პოლარიზებული შეხედულებებისკენ, ვიდრე მამაკაცები და ახალგაზრდა რესპონდენტები. თუმცა, ტელარხების მოხმარების ჩვევები და პარტიული იდენტობა პოლარიზაციის განმაპირობებელ ყველაზე ძლიერ ფაქტორებად გვევლინება. ისინი, ვინც რეგულარულად უყურებენ პროსახელისუფლებო ტელეარხებს, ასევე ისინი, ვინც თავს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებად აიდენტიფიცირებენ, პოლარიზაციის ყველა განზომილებაში თანმიმდევრულად აჩვენებენ პოლარიზაციისკენ მიდრეკილების უფრო მაღალ პროგნოზირებულ ალბათობას. ეს შედეგები მიანიშნებს, რომ საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაციის გავრცელება მნიშვნელოვნად არის განპირობებული მმართველი პარტიისა და მასთან დაკავშირებული მედიასაშუალებების მხრიდან გამოყენებულ კომუნიკაციის სტრატეგიებსა და პოლიტიკურ დისკურსთან.